საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 08.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 470070000.05.001.016760) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №1 დანართით გათვალისწინებული II სიის ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 გრაფა:

12^1	გამა-ოქსიერბო მჟავა GHB	γ-hydroxybutyric acid

2. №1 დანართით გათვალისწინებული III სიის ცხრილის მე-40 გრაფა ამოღებულ იქნეს.

3. №2 დანართის ცხრილით გათვალისწინებულ ჩამონათვალს „ნარკოტიკული საშუალებები“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 31^1 გრაფა:

31^1	გამა-ოქსიერბო მჟავა	3	30	300

4. №2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ფსიქოტროპული ნივთიერებები“ მე-10 გრაფა ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

29 ივლისი 2014 წ.

N2561-რს